№ 66

შაბათი, 14 ნოემბერი 1909 წ.

# მომავალი

№ 66 შაბათი, 14 ნოემბერი 1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთის ფასი:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. **1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 1 მ. 60 კ. თფილისს გარეთ 1 მან. 80 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოეული საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

## თფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.**

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო ვ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ძიძოძე ტ. ხ.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მადლაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირადოვი რ. გ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10.

**სოგოლევსკი ბ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. საზებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—36)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი სგფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—36)

წარმოდგენა 16. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 16.

**კვირას, 15 ნოემბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ ახალი პიესა პ. ალექსიშვილის (პ. გოთუასი) განმათავისუფლებელ მოძრ. საქართველოში

## პარტიის კაცი?!

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარაძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილ-ხაშმელი, მგალობლიშვილი, კ. მესხი, ი. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ყიფიძე, შ. საფაროვი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 5 მ.-დე, პარტერი 2 მ. 60 კ. 60 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: „სამეგრელოს მთავარი ლევან“, „გიორგი მე-III“, „კოჩრიანი ტოროლა“.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტონ ეიხენვალდის გამგეობით დღეს პირველათ განახლების შემდეგ სპექტაკლი gala **„ნერონი“** მუსიკალური დადგმა ანტონ ეიხენვალდისა. მონაწილეობენ ქ-ნნი: ვიკშემსკაია, ელაგინა, კალინინა, ფერრარი, შულგინა; ბ-ნნი: ბორისენკო, გალეცკი, გურონი, დემიანენკო, კუზმინი, ობრუბოვი, პევცოვი, სოკოლსკი, ტირაციანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ფასები საბენეფისოა. ხვალ ორი სპექტაკლი დაკლებულ ფასებში 20 კ.-დან დილით **«ევგენი ონეგინი»**. საღამოს **„კორნევილის ზარები“**. ორშაბათს, 11 ნოემბერს ხელმისაწდომ ფასებში 20 კ.-დან **«ტრავიატა»**. მზადდება წარმოსადგენათ მასსენეს **„ტაისი“**.

ქართული **ავლაბრის თეატრი** წარმოდგენა № 8

**შაბათს, 14 ნოემბერს, 1909 წ.** ქართულ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## და-ძმა

ისტორიული დრამა 5 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ ქ-ნნი: რჩეულოვისა, მარგველაშვილი; ბ-ნნი: გელიკურაშვილი, გიორგაძე, მირველოვი, მაისურაძე, მამულაშვილი, სალაყაია, ქიზიყელი, ჩელტიძე, ჯიბლაძე და სხვ.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ✦ **ადგილების ფასი 10 კ.-დან 80 კ.-მდე.**

უმორჩილესათ ვთხოვთ საზოგადოებას, რომ თვით დაგვეხმაროთ წესიერების დაცვაში, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება, პატარა ბავშვებს თეატრში ნუ შემოიყვანენ და თეატრში სტვენა და აურ-ზაური აკრძალულია, წინააღმდეგ შემთხვევაში თეატრიდან გაყვანილ იქნება.

დირექცია **ამო. ხარაზიანცი.**

## მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულებს.

**ადრესი:** კირპიჩნი პერეულოკი, № 2.

სამშაბათს, 17 ნოემბერს

**დიმიტრი სილიბისტროს ძე ჩხაიძის**

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ს. აცანაში, რასაც აუწყებენ გარდაცვალებულის დედ-მამა, ძმები და და, ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს. (2—1)

## ჭიათურაში

გაიხსნა რკინის გზის შკაფი, რომელსაც განაგებს

**ისიდორე შილაკაძე.**

იქვე იყიდება ყველა ადგილობრივი და სატახტო ჟურნალ-გაზეთები, მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „მომავალ“-ზე და სხვადასხვა განცხადებები „მომავალ“-ში დასაბეჭდათ. (10—8)

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—9 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

## ავტომობილები

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, ლანდო, კარეტა, კალიასკა, ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა მოგვმართოს შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zurich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. **ბენდიანიძე.** (0—10)

## გამოცდილი მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის.

იკითხეთ „მომავალის“ რედაქციაში, რუსის ქუჩა 3. (0—27)

## ბათუმში

**გაზეთ „მომავალ“-ზე ხელის მოწერა მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე**

## გიორგი მახარამესთან.

**იგივე მიიღებს სხვადასხვა განცხადებებს გაზეთ „მომავალ“-ში დასაბეჭდათ.**

(10—8)

კბილის ექიმი

## ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

კბილის ექიმი

**რომანიშვილი—დუმბაძისა.**

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: **ავჭალის ქუჩა № 34.**

### თფილისი, 14 ნოემბერი.

ხვალ, 11 საათზე, დანიშნულია საზოგადო კრება სახალხო წარმოდგენების მმართველი ახლათ დაარსებული წრის, რომელმაც უნდა იქონიოს მსჯელობა წესდების შეცვლის შესახებ. კითხვა იბადება: რითია გამოწვეული ამ წრის დაარსება? სახალხო წარმოდგენების საქმეს ამე საშიშროება მოელოდა და ამიტომ, თუ ორიოდე პიროვნების თავმოყვარეობა შეილახა და მთელი აურზაურიც ამიტომ ატყდა? თუ ამდენ ხანს ვინმესთვის ეს კითხვა გაურკვეველი იყო, დღეიდან, როცა ამის შესახებ ჩვენ გაზეთის ფურცლებზე ყოველივე ითქვა დაინტერესებული მხარეებისაგან, ნათელი უნდა იყოს, რომ სახალხო წარმოდგენების საქმე კი არ ყოფილა საფრთხეში, როცა მას უძღვება სახალხო უნივერსიტეტთან არსებული სექცია, არამედ ორი პირის—ბ.ბ. სვირელის და ტოროშელიძის. გადავავლოთ თვალი მოკლეთ ამის ისტორიას და მაშინ ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ის ორი პირი, რომელთაც თავი მოაქვთ სახალხო წარმოდგენების ერთათ-ერთ მეპატრონეთ, ნამდვილათ, არც ისეთი მოყვარე ყოფილან ამ საქმისა. ბ.ბ. ტოროშელიძე და სვირელი თავის კომპანიას იწყებენ მაისიდან; ისინი, როგორც სექციის წევრნი, გამოდიან სექციის რეორგანიზაციის მომხრეებათ, საბუთათ მოყავთ, რომ საქმე კოჭლობს, ვერ მიდის სასურველათ, ამის მიზეზი კი სექციის შემადგენლობაა, რომელშიც შედიან ისეთი ელემენტები, რომლებიც საქმეს მეტათ აფერხებენ. ყველაზე მეტი დამნაშავენი კი მუშები არიან, რომელთაც რეპერტუარის ამორჩევაში მონაწილეობა არ შეუძლიათ მიიღონ, რადგანაც შესაფერი გონებრივი განვითარება არ შესწევთ, ნაცნობობა საზოგადოებაში მათ არ აქვთ, რომ სცენის მოყვარეები იშოვონ, შავი მუშაობა ახლა საჭირო აღარაა მათი მხრით, რადგანაც ასეთი სამუშაოსათვის უკვე არიან დაქირავებული პირები.

მათი წინადადება რეორგანიზაციის შესახებ სექციამ მიიღო, მაგრამ სარეორგანიზაციო კომისიაში მათდა სამწუხაროთ მოხვდენ ისეთები რომლებმაც სექციის გარეშე დატოვეს თვით რეორგანიზაციის ინიციატორები. აი, აქედან იწყება მათი გულის წყრომა თვით სექციაზე, გალაშქრება სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წინააღმდეგ და ახალი საშუალების ძებნა, თავის განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ. ნაჩქარევათ ადგენენ წესდებას, აჩეჩებენ ხელში ყველას. თვით სექციის ზოგიერ წევრებსაც სჯერათ მათი გულწრფელობა და წესდების გაუცნობლათ ხელს აწერენ. ბ. სვირელი ამ წესდებით ხელში დადის აქეთ იქით და იმუქრება; სარეორგანიზაციო კომისიამ ჩვენ არ აგვირჩია სექციაში იმიტომ, რომ ჩვენმა მოკავშირეებმა: ს. რომანიშვილმა და მ. დემურიამ გვიღალატეს, ჩვენი გეგმა მუშებს უთხრეს, ისინი ჩვენ წინააღმდეგ აამხედრეს და შედეგიც ამიტომ მოყვა ასეთი; სამაგიეროთ „ჩვენ მაინც ჩვენსაც არ დავიშლითო“.

მართლაც არ დაიშალეს. მათ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის უკანასკნელ სიტყვას წარდგენილ სიის სექციის წევრების დამტკიცების შესახებ არ მოუცადეს, და დააჩქარეს წესდების დამტკიცების საქმე. როგორც კი მთავრობისაგან დამტკიცებული წესდება ხელთ იგდეს, მაშინვე სექციის კრება გამართეს, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა ერთხელ კიდევ მილანძღეს, თითქო ის ყოფილიყოს ყოველივე ბოროტების მიზეზი და სექციამაც დაადგინა: ყოველივე ქონება, რაც მას აბადია ახალ წრეს გადასცეს, როგორც კი უკანასკნელი დაიწყებს მოქმედებას. სანამ სექციის რეორგანიზაცია მათ მიაჩნდათ თავის სასარგებლოთ, ისინი უნივერსიტეტის გამგეობის გარშემო ტრიალებენ და სხვადასხვა გეგმებს ადგენენ: ჩვენ სექციის წევრები დავიშლებით ამ ზაფხულში და გამგეობამ ახალი სექცია შეადგინოს, მაგრამ ვაი თუ ზუბალაშვილების სახლში ვინმემ დღეები წაგვართვასო! ალბათ ამ შემთხვევაში ისინი დარწმუნებული იყვენ, რომ ამ პირობებში უსათუოთ მოყვებოდენ შიგ. მაგრამ აქაც ეჭვი ებადებათ: ამგვარ ოინებს სხვა წევრები გაიგებენ და ისინი წინააღუდგებიან და ეს გეგმაც ჩაიშლებაო. სექციის უმრავლესობამ მაინც ვაიგო საქმის ნამდვილი ვითარება და სარეორგანიზაციო კომისიაში არჩეულ იქნენ მათთვის არა სასურველი პირები და აქედან წყდება მათი შემაერთებელი ძაფი სექციასთან. სექციაში დამარცხებულნი სხვაგან ეძებენ „ხსნას“. ასეთ ალაგათ მონახეს ახალი წრე, ამისათვის შეადგინეს ისეთი წესდება, საცა „ქუჩიდან ვერავინ შევიდოდა შიგ“, რისთვისაც საჭირო იყო დიდი საწევრო გადასახადი. წევრთა რიცხვიც მინიმუმამდის განსაზღვრეს და ახალ წევრთა მიღებაც საზოგადო კრების კომპეტენციათ გახადეს და ისიც საზოგადო კრების ბოლოში, რომ ახალ წევრებს იმავე კრებაზე ხმა არ ქონოდა. მათი ნაბიჯების შეკავება ვეღარ მოახერხა ვერც სექციის უმრავლესობის კატეგორიულათ გამოთქმულმა სურვილმა, რომ ახალი წრის საზოგადო კრების მოწვევა ერთ ხანზე შეჩერებულიყო, ვერც სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წარმომადგენლის წრის კრებაზე შეტანილმა წინადადებამ, რომ გამგეობის არჩევნები გადადებულიყო და სახალხო უნივერსიტეტის გამგეობასთან მოსალაპარაკებლათ არჩეულიყო საგანგებო კომისია და ამით თავიდან აცილებულიყო მოსალოდნელი კონფლიქტი უნივერსიტეტის გამგეობასა და ახალ წრის შორის. ვერაფერმა ვერ გასჭრა: წრის საზოგადო კრებაზე არჩეულ იქნა გამგეობა და მით პირადი სურვილი დაიკმაყოფილეს. ასეთია მოკლეთ ამ ორი პირის მოქმედების ისტორია.

ხვალ ახალი წრის წინაშე სხვათა შორის დაყენებული იქნება, ჩვენის ფიქრით, კითხვა—დაიწყოს წრის გამგეობამ ახლავე წარმოდგენების გამართვა, თუ მოუცადოს შეცვლილ წესდების დამტკიცებას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ წრის საზოგადო კრება არ აჩქარდება და ახლავე არ შეუდგება წარმოდგენების მართვას და მით ხელს არ შეუშლის უნივერსიტეტის გამგეობასთან არსებულ სექციის მოქმედებას, პირიქით, აღმოუჩენს მას ყოველგვარ ზნეობრივ დახმარებას ამ სახალხო საქმეში და დაუცდის ამ კითხვის გადაწყვეტას სახალხო უნივერსიტეტის საზოგადო კრებას, რადგან მხოლოდ საზოგადო კრებას აქვს უფლება მოსპოს უნივერსიტეტის ფუნქციის ერთი-ერთი მხარე და სხვა დაწესებულებას დაუთმოს იგი და ამასთანავე ყოველივე ქონება, რაც ამ საქმისათვისაა საჭირო.

ჩვენ გვჯერა, რომ წრის საზოგადო კრება დადგება თითო-ოროლა პიროვნების სურვილებზე მაღლა და ასეთ გადაწყვეტილებაზე შეჩერდება, რადგან შექმნილ პირობებში ყველაზე უფრო ხელსაყრელი და საქმისთვის საჭირო სწორეთ ასეთი დადგენილება იქნება.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ნოემბერი.

**სპარსეთი.**

**თავრიზი.** ადერბეიჯანის გენერალ გუბერნატორის რაზმი, რომელიც რახიმხანის და შახსევანების წინააღმდეგ იყო გაგზავნილი, ერთი თვე სერაბში გაჩერდა და ეხლა თავრიზში ბრუნდება. თავრიზის და არდებილის ვაჭრებს იმედი აქვთ, რომ რუსეთის ჯარის მისვლის გამო ასტარიდან—არდებელამდე, თავრიზიდან—თეირანამდე, თავრიზიდან—ჯულფამდე და ხოიმდე გზები გაიხსნება. სათარხანს, არდებილიდან გაქცევამ, ფასი დაუკარგა ხალხის თვალში.

**თეირანი.** 10 ნოემბერს შირაზიდან ბუშირში მიმავალ რუსეთის გენერალურ ელჩის ქარავანს თავს დაესხენ ყაჩაღები. ელჩს თან ახლდა შვიდი რუსი და ხუთი სპარსელი კაზახი და სამი გულიაბი, ვინტოვკებით. თვით ელჩი და მისი მდივანი კადლუბოვსკი რევოლვერებით იყვნენ შეიარაღებულნი. სროლა ნახევარ საათს გაგრძელდა. ელჩი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქარავანი და უკან გამობრუნებულიყო ხანეზენიანში. მოკლულია რუსი კაზახი სლესარენკო, მეორე დაჭრილი. მძიმეთ დაჭრილია ორი

სპარსელი კაზახი. და მსუბუქათ ორი გულიაზი. მოკლულია ოთხი ცხენი. ელჩთან მიმავალ სხვა ქარავნებიდან მოკლეს ათი სპარსელი, მათ შორის ხანეზენიანის მამასახლისი. ელჩი პასსეკი და კადლუბოვსკი უვნებლათ გადარჩენ, მაგრამ ქარავანი გაძარცვეს. ძლივს გადაარჩინეს საელჩოს არქივი და ფულის ყუთი, რომელიც თან წაიღეს. ელჩი ამოწმებს, კაზახები გმირულათ იბრძოდენ. მოკლული კაზახის გვამი თან წაიღეს და დამარხავდენ შირაზში სომხების ეკკლესიაში. ელჩმა ფიცხელი წინადადება მისცა სპარსეთის მთავრობას დასთმონ დამნაშავეები და აუნაზღაურონ ზარალი.

**თეირანი.** შირაზში ინგლისის საელჩოში ცნობა მიიღეს რუსეთის ქარავანზე თავდასხმის შესახებ. ელჩი რაზმის თანხლებით ყაჩაღების შესაპყრობათ გაემართა.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** მთელი დღე და ღამე საშინელი ქარ-ბუქი და წვიმაა. სტამბოლის და გალატის დაბალი ნაწილები ნიაღვარმა წალეკა.

პორტა დამშვიდებით ელის კრიტოსის შესახებ ნოტას პასუხს სახელმწიფოებიდან. საზოგადოთ პორტას საბერძნეთთან დამოკიდებულება გაუმჯობესდა. კრიტოსის საკითხი ეხლა ისე მწვავე აღარ არის.

### საზღვარ-გარეთ

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. განაგრძობენ საფინანსო ბილლის განხილვას. კენტემბერიის არქიეფისკოპოზი აცხადებს, რომ ის და ეფისკოპოზები ნეიტრალიტეტს დაიცავენ. დავის დროს ლორდმა როზბერიმ, რომელიც სასტიკათ კიცხავდა ბიუჯეტს, განაცხადა, რომ მიუხედავათ ამისა ის მაინც ხმას არ მისცემს ლენსდოუნის რეზოლიუციას.

**მადრიდი.** უეცრათ გაიხსნა ცეცხლის მფრქვევი მთები. მოხდა მიწის ძვრა. მრავალი ოჯახი უსახლ-კაროთ დარჩა. მცხოვრებნი აქეთ-იქით გარბიან.

**ბელგრადი.** ფინანსთა მინისტრმა სკუპშჩინაში შეიტანა კანონ-პროექტი 150 მილიონი სესხის აღების შესახებ.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ მიიღო ჯარის-კაცთა კონტიგენტი. მშვიდობიანობის დროს 42,800 კაცი.

**ლონდონი.** საფინანსო ბილლის შესახებ კენჭის ყრა მოხდება 17 ნოემბერს.

**ვენა.** დეპუტატთა პალატაში მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც ყველა პარტიებს მოუწოდა შეერთებისათვის, რომ ნიადაგი შექმნან ნაციონალური კითხვების გამო მორიგებისათვის. ორატორის სიტყვით, მთავრობა მზათაა მხარი დაუჭიროს ამ მისწრაფებას.

**სოფია.** ბოლგარიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ მთავრობამ სოფიაში მყოფ ოსმალეთის ელჩს გადასცა 5 ნოემბრის სახალხო კრების სტენოგრაფიული ანგარიშის თარგმანი პაპრიკოვის სიტყვის ის ადგილები, რომელშიაც ის ოსმალეთს ეხებოდა. ამით ზოგიერთ პირებს საშვალება მოესპოთ მინისტრის სიტყვებს ყალბი განმარტება მისცენ.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** ღამით ძველ აგარაკში, სახლის პატრონის შინ არ ყოფნის დროს, ბოროტ-განმზრახველებმა ცულით დასჩეხეს აგარაკის მეეზოვე, აგარაკის პატრონის ძმისწული ქალი და მოსამსახურეები. ეჭვით დაიჭირეს ორი კაცი.

**იაროსლავლი.** საოლქო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი საგინის ფაბრიკის კასირის გაძარცვის შესახებ. ოთხს, მათ შორის სამი საეკლესიო საოსტატო სკოლის ყოფილ შეგირდებს, მიუსაჯა კატორღა. ორი გაამართლა, ოთხი გადაიმალა.

**სმოლენსკი.** კრასნინსკის მაზრის სოფელ ლეშაკოვოში იპოვნეს შვედურ ვერცხლის მანეთიანების საწყობი.

**პეტერბურგი.** სენატმა უყურადღებოთ დასტოვა კსენდზ სპერსკის საკასაციო საჩივარი, რომელსაც ვილნოს სასამართლოს პალატის მიერ ერთი წლის ციხე ქონდა გადაწყვეტილი მართლმადიდებლობის და ხელმწიფის შეურაცხყოფისათვის თავის ქადაგებაში.

**მოსკოვი.** საგუბერნიო საერობო საკრებულომ გააუქმა ბრონიცკის მაზრის ერობის დადგენილებანი და არჩევნები. დაინიშნა ახალი სესია იმავე საქმეების განსახილველათ.

**პერმი.** შესრულდა ასი წელიწადი პერმის სასულიერო სემინარიის დაარსების შემდეგ.

**მოსკოვი.** გაიხსნა სრულიად რუსეთის ფრინველების მომშენებელთა სიეზდი.

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების სამინისტრომ საჭიროთ სცნო მისდა რწმუნებულ სასწავლებლების კურს დამთავრებულთათვის ატესტატები დაიბეჭდოს და ინახებოდეს სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციაში. სამინისტროს აზრით ეს გარემოება ხელს შეუშლის ყალბი ატესტატების გავრცელებას.

**ვოლოგდა.** კადნიკოვის ერობამ დაადგინა იშუამდგომლოს რძის დამზადებელ ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

**იაკუტსკი.** ქალაქის საბჭომ განიხილა გუბერნატორის წინადადება იაკუტსკში საყოველთაო განათლების შემოღების შესახებ. საბჭომ სასურველათ იცნო ამ წინადადების განხორციელება.

**ნოვოჩერკასკი.** სადგურ ლიხოიზე ორი მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. დაიმტვრა 10 ვაგონი, მოკვდა ორი, დაიჭრა 9 მგზავრი.

**პეტერბურგი.** კავკასიის რკინის გზათა უფროსის მიერ წარდგენილი აზრის თანხმათ გზათა სამინისტრო შუამდგომლობს სპარსეთის საქონლების ჯულფიდან ბათუმის და ფოთის გამგზავრების შესახებ. ეს გზა ყველაზე მოკლე გზაა ევროპასა და რუსეთში გასაგზავნ სპარსეთის საქონლისთვის.

### ხ ო ლ ე რ ა.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 1, ავათ არის 65.

## სასამართლოს რეფორმა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტომ გვაცნობა, რომ ქ. ომსკის (ციმბირში) საოლქო სასამართლოში დაიწყო საქმის გარჩევა ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით. ამავე დროს სახელმწიფო სათათბიროში ირჩევა ადგილობრივ სასამართლოს შესახებ კანონ-პროექტი. როგორიც უნდა გამოვიდეს ეს კანონ-პროექტი სათათბიროს დარბაზიდან, ის კავკასიას მაინც არ შეეხება.

მაშასადამე, საჭიროთ დაუნახავთ, ერთის მხრით, ციმბირში ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება, მეორე მხრით, თითქმის მთელ რუსეთში ადგილობრივ სასამართლოს რეორგანიზაცია. ორივე რეფორმამ კი ჩვენ, კავკასიელებს, გვერდი აგვიქცია, მიუხედავათ იმისა, რომ თვით კავკასიის ნამესტნიკი თავის მოხსენებაში სასურველათ სცნობს აქაურ სასამართლოების რეფორმას. აქაური მცხოვრებნი, აქაური ხალხი კი დიდი ხანია გრძნობს დღევანდელ სასამართლოების უვარგისობას. ვისაც დამოკიდებულება აქვს სასამართლოსთან, დამოკიდებულება, ასე ვთქვათ, შეგნებული, ის უთუოდ იტყვის, რომ აუცილებლათ საჭიროა რაც შეიძლება მალე მოხდეს სასამართლოს რეფორმა.

უნდა მოისპოს სპეციალური საგლეხო სასამართლოები, და მათი ადგილი უნდა დაიჭირონ მომრიგებელ მოსამართლეებმა. სასოფლო საგლეხო სასამართლოს მაშინ აქვს ადგილი, თუ გლეხების ინტერესები ერთიან გამოყოფილია საერთო ინტერესებიდან. როდესაც კი გლეხის ინტერესი გადახლართულ-გადაჯაჭვულია სხვა წოდებათა ინტერესებთან; როდესაც სოფლის და ქალაქს შორის დამოკიდებულება ისეა დაახლოვებული, ისეა, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეკავშირებული, რომ ძლიერ ძნელი გამოსაცნობია, სად თავდება მოქალაქის ინტერესი და სად იწყება გლეხის; როდესაც სოფლის და ქალაქის ურთიერთობა მეტათ გამაგრებულია,—მაშინ სპეციალურ საგლეხო სასამართლოს აზრი აღარ აქვს, და სასამართლო გაერთიანებული უნდა იყოს. მთელ მხარეს ქსელივით უნდა მოედოს მომრიგებელ-მოსამართლეების ინსტიტუტი. თუ იმას იტყვიან, რომ მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს საქმის გარჩევის დროს გლეხების ზნე-ჩვეულებებით, განა მომრიგებელი მოსამართლე ამას ვერ შესძლებს? ამისათვის კი საჭიროა მხოლოდ, რომ მომრიგებელი მოსამართლე იცნობდეს იმ ხალხს, რომელშიაც ის იმოსამართლებს; ყოველივე ეს შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მომრიგებელ მოსამართლეების ადგილებს დაიკავებენ ადგილობრივი მცხოვრებნი, ადგილობრივი ენის მცოდნენი. ადგილობრივი მოსამართლე უნდა ირჩეოდეს და არა ინიშნებოდეს. არავითარი ცენზი, გარდა სწავლა-განათლებისა, არ უნდა ეღობებოდეს მოსამართლეს წინ. სწავლა-განათლების ცენზი კი, ჩემის აზრით, უეჭველათ საჭიროა, განათლება სპეციალური, იურიდიული, ვინაიდან ენის, ზნე-ჩვეულების ცოდნის გარდა, მოსამართლემ უთუოთ უნდა იცოდეს კანონი, ეს მას შესისხლხორცებული უნდა ქონდეს.

რაც შეეხება მეორე ინსტანციას, ე. ი. საქმის გასასაჩივრებელ მეორე სასამართლოს, ეს უთუოდ უნდა შესდგებოდეს ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეთა კრებულისაგან, როგორც ეს რუსეთის შიდა გუბერნიებში არის. და რომ სასამართლო დამოუკიდებელი დარჩეს, საჭიროა ამ კრებულის თავმჯდომარე თვით მოსამართლეების მიერ არჩეული პირი იყოს. მოსამართლეების კრებული, სხვათა შორის, იმითია კარგი და სასარგებლო, რომ ყოველი კერძო მოსამართლის მოქმედება-მოღვაწეობა შეესაბამება დანარჩენ სხვა მოსამართლეების მოქმედება-მოღვაწეობას, და ერთის შეცდომა მეორეს გაკვეთილათ გამოადგება. ყველა ეს კი შექმნის სასამართლოს ერთფეროვნებას-ერთგვარობას, რაც მართლმსაჯულებისათვის აუცილებელ თვისებას უნდა შეადგენდეს.

გადავიდეთ ახლა ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტზე. რადგანაც ამ კითხვას მე უკვე ადრე შევეხე ვრცლათ ერთ-ერთ ჩვენ გაზეთში, ახლა მხოლოდ მოვჭრი. დღევანდელ წეს-წყობილებაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი რომ ყოვლად შესაწყნარებელი და სასარგებლოა, ეს დღეს რუსეთში ყველასათვის ცხადია. სასამართლოში ნაფიც მსაჯულის სახით ზის თვით ხალხის სინდისი. რასაკვირველია ის სულ სხვა კითხვაა თუ როგორ გამოხატავს ამ სინდის ესა თუ ის ნაფიცი მსაჯული. ესა თუ ის დანაშაულობა არავის ისე არ აწუხებს და ზიანს არ აძლევს, როგორც იმ ხალხს, რომელშიაც დამნაშავე ტრიალებს.

მსაჯულისათვის მარტო დანაშაულობის გარეგანი ფორმა არ კმარა, რომ მან ესა თუ ის განაჩენი გამოიტანოს. უთუოთ საჭიროა სასამართლოში ფარდა აეხადოს ბრალდებულის შინაგან მოტივებს, მის სულისკვეთებას, იმ შინაგან ამამოძრავებელ ძალას, რომელმაც ის ბრალდებულის სკამზე დასვა. საჭიროა, აუცილებელი საჭიროა მოსამართლემ იცოდეს ის სოციალური და ეკონომიური ცხოვრების პირობები, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ბრალდებული. ყოველი დანაშაულობა ცხოვრების დასახიჩრებული მოვლენაა და ეს მოვლენა ყველაზე უკეთ იცის მან, ვინც ამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებს. ყოველივე დანაშაულობას აღნიშვნის გარდა ესაჭიროება ახსნა და აი ამ აღნიშვნა-ახსნას უკეთ შეასრულებს მართლმსაჯულებასთან შეუჩვეველი მოქალაქე, კანონით გაუცდენთელი მოქალაქე. ნაფიცი მსაჯული—ეს ის ცოცხალი ნაწილია, ეს ის სუფთა ჰაერია, რომელიც ძლიერ ესაჭიროება კანონიერ ფორმალიზმით გაცდენთილ სასამართლოს დარბაზს. მსაჯული-მოხელე ყოველ-დღე ხედავს ბრალდებულს, ის ყოველ დღე არჩევს საქმეებს, ვოველ დღე ასამართლებს. ამისათვის მას ნერვებიც კი მოდუნებული აქვს. საბრალმდებლო სკამზე მის წინ ინდივიდი კი არ ზის თავის საკუთარი ფიზიონომიით, საკუთარი „მე“-თი; მის წინ ზის ერთეული, ზის ესა თუ ის ნომერი.

ნაფიცი მსაჯული კი უფრო ხალისით, უფრო ყურადღებით, უფრო შეუჩვევლათ უყურებს საქმეს. ის გაიგებს, ის იგრძნობს, ვინ ზის მის წინ: დახელოვნებული, გაკაჟებული დამნაშავე, თუ მსხვერპლი უცაბედი შემთხვევისა. ის გაიგებს, რამ ჩაადენია მას დანაშაულობა, რა პირობებმა აიძულეს ის დაერღვია კანონი; ის საქმეს ალღოს აუღებს, საქმეს ის სინდისიერათ ასწონ-დასწონის და იტყვის: ეს დამნაშავეა, ის ცამდის მართალია, ის კი დამნაშავეა, მაგრამ შეღავათის ღირსია.

ყოველივე ეს იცის კანონმდებელმა.

45 წელიწადია რუსეთში შემოიღეს ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტი. პოლონეთი, კავკასია და ციმბირი, სხვადასხვა მიზეზების გამო—უფრო პოლიტიკურის —ამ ინსტიტუტ გარეშედასტოვეს

როგორც ზემოთ ვთქვით, ციმბირში ეს ინსტიტუტი უკვე შემოიღეს. რიგი, ალბათ, ახლა ჩვენზეა.

ჩვენმა დეპუტატებმა უთუოთ უნდა მიაქციონ ამ საკითხს ყურადღება. მართლმსაჯულება ცხოვრების ერთი დიდი

---

## სოციალისტ-უტოპისტები.

(შემდეგი)

კომუნა, მოწყობილი ფურიეს გეგმის თანახმათ, წარმოადგენს, ადამიანთა კავშირს. კავშირს სახელათ ეწოდება ფალანგა. ფალანგა,—ფურიეს სისტემის ძირითადი „იაჩეიკაა“. ეს ფალანგა ფურიეს აწერილობით ასეთია: ფალანგას უჭირავს დაახლოვებით 3 კვ. მილი სივრცე. წევრთა რიცხვი 1800—2000-მდე ადის. უმთავრეს სასახლეს ეწოდება პალატა. პალატა შესდგება ორი რიგი სამსამ სართულიან სახლებიდან, რომლებიც გაშენებულია 2,000 ვ. სიგრძეზე. შუაგული ამ სასახლისა დანიშნულია უფრო წყნარ სამუშაოებისთვის. შიგ არის დიდრონი სასადილო ოთახები, ბიბლიოთეკები და სხვა. სასახლეს აქვს ორი ავანი. ერთში მოთავსებულია ყველა სახელოსნოები, ხოლო მეორეში—სასტუმრო ოთახები უცხოელებისათვის. დუქნები, პურის ბეღლები, და სარაები მოთავსებულია პალატის პირდაპირ. პალატის წინ მოედანია სეირნობის და დღესასწაულებისათვის. პალატა ისეა მოწყობილი რომ, შიგ მცხოვრებთ შეუძლიათ მთელ ზამთარში ისარგებლონ ქუხნით, დუქნებით, სახელოსნოებით და სხვა, ისე რომ ვერც კი გაიგებენ გარეთ თოვლია თუ წვიმა, სიცივე თუ სითბო. პალატის ახლო-მახლო გაშენებულია მშვენიერი ბაღები და მდელოები. ფალანგაში არ არის არც ერთი მუქთა მჭამელი, როგორც მაგ. ლაქიები, სალდათები, ჯაშუშები და სხვა. დედაკაცები ირჩევენ ისეთ სამუშაოს, რომელიც მათ იზიდავს და მათ ძალას არ აღემატება. საჭმელი მზადდება ერთ საზოგადო ქუხნაში, სადაც 3—4 პლიტაა, რომელზედაც ათი გამოცდილი და მცოდნე მზარეული აკეთებს გემრიელ საჭმელებს. ფალანგის ერთ უმთავრეს საზრუნავს შეადგენს ბავშვების აღზრდა. ყველა ბავშვები ღებულობენ თანასწორ აღზრდას საერთო თავ-შესაფარში და სკოლებში. მასწავლებლების უმთავრეს მოვალეობას შეადგენს აღზარდოს და განავითაროს ბავშვებში ნდომა-სურვილები და კეთილ გზაზე დააყენონ. დაბადების დღიდანვე იწყება ბავშვების დაყოფა ჯგუფ-ჯგუფათ მათი ხასიათის და გემოვნების თანახმათ. თვითეული ჯგუფისთვის არსებობს ცალ-ცალკე, დიდი და მშვენიერი თავ-შესაფარი. ძუძუს აწოვებს მხოლოდ ის ქალი, რომლებსაც ამის სურვილი აქვს. დედებსაც შეუძლია რასაკვირველია ძუძუ აწოვონ, თუ კი მოისურვებენ. სამი წლიდგან დაწყებული ბავშვებს აჩვევენ რაიმე მიმზიდველ და იოლ მუშაობას. ამ გვარათ, იმ ენერგიას, რომელსაც ბავშვები ხარჯავენ უსარგებლო ცელქობა—თამაშობაში, ფალანგა იყენებს თავის სასარგებლოთ და თან ბავშვებსაც აჩვევს პატარაობიდანვე შრომის მოყვარეობას. რამდენათ უფრო იზრდება ბავში, იმდენათ მისი სამუშაოც იცვლება. 10—12 წლის ბავშვებიდან უნდა შესდგეს „ბავშვების ბატალიონი“ ამათი მოვალეობა იქნება ყოველ-გვარი უსიამოვნო და ბინძური სამუშაოს ასრულება. მაგ. ფეხის ადგილის წმენდა და სხვა. და ეს იმიტომ რომ, როგორც ამბობს ის ამ წლოვანებაში ბავშვები იჩენენ ძლიერ ლტოლვილებას ტალახ-სიბინძურისადმი, ამ ბატალიონს ყველა პატივით ეპყრობა. მთელი ფალანგა მორთულია ყვავილებით, იმართება საზოგადო კრებები, გამოფენები, ბალები, კონცერტები, ცეკვა-თამაში და სხვა. ფალანგას აქვს ეკლესია და თეატრი. თვითეული წევრი ირჩევს ბინას პალატაში, თავის გემოვნებაზე. ყველა წევრი შრომობს. სამუშაოს არჩევნებში წევრს ეძლევა სრული თავისუფლება. სამუშაოს ირჩევენ თავიანთი სურვილის, შეძლების და მოწოდების თანახმათ. ამ გვარათ ჩნდება სხვა და სხვა ჯგუფები, სხვა და სხვა ნაირ სამუშაოზე. რაკი შრომა სხვა და სხვა ნაირია, თვითეული ჯგუფი მუშაობს ერთ გვარ სამუშაოზე $1—1^1/_2$ საათს და მერე გადადის მეორეზე. როგორც კი მუშაობა დამღალავი და უსიამოვნო გახდა, ჯგუფი ეთხოვა მუშაობას და ირიცხებიან სხვა და სხვა ჯგუფებში და უფრო ენერგიით მუშაობენ ახალ სამუშაოზე. სოციალური ორგანიზაციის უმთავრესი მიზანია—სრული და ჰარმონიული განვითარება იდამიანის ძალების. ეს კი მაშინ იქნება, როცა შრომა მიმზიდველი გახდება. ეს კი მისი აზრით, სავსებით განძლიერებული იქნება ფალანგაში. შრომა ფალანგაში აგებულია კოოპერატიულ პრინციპზე და აქედან რჩება დიდი ეკონომია და ფალანგა იძენს დიდ სიმდიდრეს. სიმდიდრე კი ადამიანს ხდის ბედნიერათ. ფალანგის წევრთა შვიდ მერვედს ადგენს ფერმერები და ხელოსნები. დანარჩენს კაპიტალისტები, სწავლულები და ხელოვნების წარმომადგენელნი. ფალანგის საკუთრება დაყოფილია აქციებათ. აქცია შეუძლია შეიძინოს არა წევრსაც. წლის ბოლოში დგება ბალანსი და მოსაგები ნაწილდება წევრთა შორის ამ ნაირათ: $^5/_{12}$—შრომას, $^4/_{12}$—კაპიტალს და $^3/_{12}$—ტალანტს, ნიჭს. აძ გვარი განაწილება ფურიეს აზრით უკმაყოფილებას არ გამოიწვევს, რადგან წევრები დარწმუნდებიან ფალანგის უპირატესობაში თანამედროვე წყობილებაზე. გარდა ამისა კაპიტალისტები თავის ხელით იმუშავებენ ფალანგაში და მეორე მხრით თვით მუშებიც მალე გახდება კაპიტალისტათ. დაბოლოს შესაძლებელია ისიც რომ, კაპიტალისტებმა სიკვდილის შემდეგ თავის აქციები სულ შესწირონ ფალანგის უღარიბეს წევრებს.

ამ გვარათ, ფურიეს აზრით ფალანგის წევრები სრულიათ კმაყოფილნი, ჯანმრთელნი, მდიდარნი და თავისუფალნი იქნებიან. ქრება სიზარმაცე, მუქთა-მჭამლობა და სიღარიბე. ადამიანი ხდება ბედნიერი.

ფურიე, ისე როგორც ყველა უტოპისტები, ძლიერ გატაცებულია თავის ფანტასტიური სოციალური თეორიის სილამაზით და სიმშვენიერით. ის ამტკიცებს რომ ფალანგის სისტემა დაბოლოს შეაერთებს მთელ კაცობრიობას ერთ ძმურ ოჯახში, რომელთაც ექნებათ ერთნაირი ცივილიზაცია, ცხოვრების ერთნაირი პირობები და ერთი მსოფლიო ენა. მთელი ქვეყნების სატახტო ქალაქათ იქნება კონსტანტინოპოლი. ეს ქალაქივე იქნება მსოფლიო მპყრობელის რეზიდენციათ. ამ ერთ მსოფლიოს მპყრობელს, მთელი სამყაროს მართვა-კამგეობაში ეხმარება 3 ავგუსტი, 12 ცეზარი, 48 იმპერატრიცა, 576 სულთანი და სხვა.

ასეთი ფანტასტიურია ფურიეს ფალანგები, მარა მას მტკიცეთ სჯერა, რომ როგორც კი ადამიანები დარწმუნდებიან თუ რა კარგი მოწყობილია ფალანგაში ცხოვრება, იმ წამშივე შეუდგებიან ასეთი ფალანგების დაარსებას. მთელი დედამიწა მოიფინება ფალანგებით. დადგება ნამდვილი სამოთხე და ადამიანი მადლიერი იქნება თავის ბედის. მწუხარება და უბედურება სამუდამოთ გაქრება, რადგან მთელი ბოროტება ადამიანის ბუნებაში კი არ ბუდობს, არამედ სოციალურ ორგანიზაციის უვარგისობა—მოუწყობლობაში. ფურიეს ისიც გამოანგარიშებული აქვს თუ რამდენი ფალანგი დაეტევა დედამიწის ზურგზე. მისი ანგარიშით სულ ორი მილიონი ფალანგი იქნება.

როგორც ხედავთ ფალანგა არ არის კომუნისტური ორგანიზაცია. ფალანგის მეურნეობას არ აქვს კომუნიზმის ხასიათი. კომუნიზმის მიზანია სრული თანასწორობა. კომუნიზმი უარს ყოფს კაპიტალის უფლებას და ცნობს მხოლოთ შრომის უფლებას.

ფურიეს ერთ წუთშიაც კი არ ეპარება ეჭვი თავის ფანტასტიური სისტემის განხორციელებაში. თავის ფალანგის გეგმას ის აწვდის მეფეებს, ბანკირებს, რომლებიც დახმარების მაგიერ მას მხოლოდ დასცინიან. მარა ეს იმედს არ უკლავს მას. ამა „ქვეყნის ძლიერთან“ იმედ გაცრუებული, ის მიმართავს დაბოლოს საზოგადო ქველმოქმედებას და სთხოვს საჭირო თანხას ფალანგის მოსაწყობათ. ფურიე ისე ღრმათ იყო დარწმუნებული, რომ მის მოწოდებაზე უთუოთ გამოჩნდებოდა ვინმე ფილანტროპი—მილიონერი, რომ მთელი წლების განმავლობაში, ყოველ დღე, შუადღისას ბრუნდებოდა სახლში და უცდიდა მის მოსვლას. მარა მისდა სამწუხაროთ ასეთი პირი ძალიან იგვიანებდა და მის მოლოდინში, კიდეც გარდაიცვალა ის 1837 წ. 10 თებერვალს, პარიზში.

მართალია ფურიეს მოძღვრება, რო-

...ერძთაგ...ნია და თუ ეს ღერძი სუსტობს, ...ოვრების წინ-სვლაც ასე თუ ისე ფერხდება.

იკა.

# უკანასკნელი ფოსტა

### რუსეთი.

**კრება უნივერსიტეტში.** 7 ნოემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტებმა კრება დანიშნეს. უნივერსიტეტის მთავრობამ კრება აკრძალა. მიუხედავათ ამისა სტუდენტები მაინც შეიკრიბნენ. პრორექტორმა გრიმმა წესრიგის გარეშე სიტყვა ითხოვა, პრეზიდიუმმა უარი უთხრა. სტუდენტების კადეტთა ფრაქციამ უარი განაცხადა კრებაზე დარჩენაზე, ვინაიდან მთავრობის ნებადაურთველათ გამართული კრება უნივერსიტეტის შინაური და გარეშე პოლიტიკისათვის მავნებლათ სცნეს. 12 საათზე უნივერსიტეტში მოვიდა პოლიციელთა ძლიერი რაზმი, რომელმაც დაიკავა შესავალი კარები, კიბე და სააქტო დარბაზის დერეფანი. კრებამ რეზოლიუციები მიიღო და მშვიდობიანათ დაიშალა. კრება მოწვეული იყო იმის გამო, რომ ბევრ სტუდენტს სხვა და სხვა მიზეზების გამო მთავრობამ ნება არ მისცა ლექციებზე დასწრებისა. 1 საათზე და 10 წუთზე პოლიცია უნივერსიტეტიდან გავიდა.

**ფლეიშიცის წინაამდეგ.** პეტერბურგის საოლქო სასამართლოს ყველა განყოფილებებმა, ერთს გარდა, წინაამდეგობა განაცხადეს ქ-ნ ფლეიშიცის სასამართლოში დამცველათ გამოსვლის შესახებ.

**ფინლიანდიაში.** გენერალ ბეკმანს წინადადება მიეცა მტკიცეთ აასრულოს მინისტრთა საბჭოს ყველა განკარგულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას შეუძლია გენერალ-გუბერნატორის თანამდებობას თავი დაანებოს. ბეკმანმა გადასწყვიტა თანამდებობიდან გადადგომა. მის ადგილს დაიჭერს გენერალი ზეინი, რომელიც ამ ჟამათ გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეთ ითვლება. ზეინი ბობრიკოვის დროს მისი მარჯვენა ხელი იყო.

**დისციპლინარული სასამართლო.** უნივერსიტეტის უკანასკნელი კრების პრეზიდიუმს დისციპლინარულ სასამართლოში მიცემას უპირებენ.

**სტუდენტების მოწოდება.** „ნ. ვ.“-ს სიტყვით პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა საორგანიზაციო კომიტეტს მოწოდება გამოუშვია, რომლითაც სტუდენტებს წინადადებას აძლევს ყოველი ღონე იხმარონ, რომ სტუდენტების სტაროსტების საბჭო აღდგენილ იქნას.

**მცირე წლოვანი რედაქტორი.** პეტერბურგის საოლქო სასამართლომ გაარჩია სტუდენტ მონოსოზონის საქმე. მონოსოზონი „სპორტივნოე სლოვოს“ ყოფილი რედაქტორია. მას ბრალდებოდა მთავრობის შეცდომაში შეყვანა. გუბერნატორის სახელზე შეტანილ განცხადებაში მას თავი 25 წლისათ გამოუცხადებია, ნამდვილათ კი 25 წლამდე მას 9 თვე აკლებია. სასამართლომ მას სამი კვირის ციხე მიუსაჯა.

**განმანათლებელი საზოგადოების დევნა.** ხარკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და მისი დაწესებულებანი პოლიციამ გაჩხრიკა. მასწავლებლებს და მოსწავლეებს წაართვეს წერილები და ხელნაწერი ქაღალდები. სახალხო სამკითხველოები დახურეს, სახალხო ლექციები შეწყდა.

**ილიოდორე.** როგორც აღნიშნული გვქონდა, ამას წინათ ბერმა ილიოდორემ სარატოვში სიტყვა წარმოსთქვა, „ქრისტიან წარმართებზე“. ამაზე წინ კიდევ „მდიდრებზე“ იქადაგა. ილიოდორე ამ სიტყვაში მუშებს ამხედრებდა „სქელ კანიან“ ვაჭრების, მდიდრების წინააღმდეგ, რომელნიც, მისი სიტყვით, „ხალხს ცარცვავენ, მის ნაშრომს ითვისებენ, ზნეობრივათ ქვეყანას ათახსირებენ“. ილიოდორეს ქადაგებამ სინოდის მასები ძალიან ჩააფიქრა. მათ ეპისკოპოს გერმოგენს დეპეშით მოსთხოვეს ილიოდორეს სიტყვა დაგვიწერე და გამოგვიგზავნეო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გდნიშნა, რომ ილიოდორეს უკანასკნელი დროის მოღვაწეობა „აშკარა რევოლიუციონურ“ ხასიათს ღებულობსო და დაადგინა, მიიღოს ზომები ილიოდორეს წინააღმდეგ, რომელიც საზოგადოების ერთ ნაწილს მეორეს წინააღმდეგ აქეზებს.

**საჩივარი სამინისტროზე.** ეკატერინოსლავის სოგუბერნიო არქიტექტორმა, ინჟენერმა ფ. ბულაცელმა გზათა სამინისტროს 80,000 მანეთი უჩივლა, რომელიც მას ეკატერინეს რკინის გზის გაკეთებისათვის ერგებოდა. საქმის წარმოება არქიტექტორმა თავის ძმის ნაფიც ვექილს ბულაცელს მიანდო.

**თავის ნებით გამოცხადება.** შვეიცარიიდან პეტერბურგში დაბრუნდა და პოლიციას გამოეცხადა ახალგაზრდა განათლებული ქალი ბ. მის ბინაზე სამი წლის წინათ გაჩხრეკის დროს ასაფეთქებელი ნივთიერებანი ნახეს. მას ბრალდება ს. რ. პარტიის წევრობა. პეტერბურგში ბ. დაბრუნებულა დედით და პატარა ბავშით. პოლიციას ის დაუტუსაღებია.

**დუმის გარშემო.** დუმის მემარჯვენე დეპუტატები ძალიან შეშფოთებული არიან ფლეიშიცას ქალის სასამართლოში დამცველათ გამოსვლის გამო. მათ გადაუწყვეტიათ ამის გამო მთავრობას შეკითხვით მიმართონ.

— ზოგიერთი დეპუტატი გუჩკოვ-უვაროვის ინციდენტის გამო იმ აზრისაა, რომ მათ შორის დუელი აუცილებელია. ამბობენ, გრაფი უვაროვი საქმეს აჭიანურებს დროს მოსაგებათ, რომ სტოლიპინისაგან მეორე წერილზედაც პასუხი მიიღოსო.

— როგორც ჩვენი გაზეთებიდან უკვე ვიცით, მარკოვ მეორეს წინადადებით და გუჩკოვის დახმარებით დუმის კომისიამ დაადგინა სამხედრო საექიმო აკადემიაში ებრაელებს შესვლის უფლება აეკრძალოთ. ამის გამო აკადემიის უფროსმა დანილევსკიმ „ნოვ. ვრემ.“ წერილი მოათავსა, სადაც ამბობს, რომ ებრაელ სტუდენტებს აკადემიაში იღებენ სამხედრო მინისტრის თანხმობით და არსებული კანონის ძალით.

— დუმის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა დუმის სხდომაზე დაუსწრებლობისათვის დააჯარიმოს 21 დეპუტატი. ჯარიმა 1,800 მანეთს შეადგენს. ყველაზე მეტი ჯარიმა (250 მანეთი) უწევს მემარჯვენე დეპუტატს ბუცკის.

### საზღვარ-გარეთ

**ეგვიპტის აფიცრები.** გაზეთ „სიეკლს“ კაირიდან ატყობინებენ, რომ ეგვიპტის აფიცერთა შორის მოძრაობა თანდათან იზრდებაო. მოძრაობის მიზანია გააუმჯობესოს აფიცერთა ნივთიერი მდგომარეობა და მათ ზნეობრივ ამაღლებას ხელი შეუწყოს.

**ლორდთა პალატაში.** ლორდთა პალატის 3 ნოემბრის სხდომაზე ლორდმა ლენსდოუნმა ბიუჯეტის მეორეთ კითხვის დროს შესწორება შეიტანა, რომელიც ამბობს, რომ ზემო პალატა შეუძლებლათ სცნობს ბიუჯეტის დამტკიცებას, სანამ სახელმწიფოს ყველა მცხოვრებთა აზრს არ გაეცნობაო. ამ შესწორებამ ინგლისის საზოგადოებაში დიდი კამათი გამოიწვია. მთელიან მთავრობის მოწოდებას, რომელშიდაც გამოქვეყნებული იქნება, რომ ლორდებმა კონსტიტუცია დაარღვიეს და კანონების გამოცემას აპირებენ ისეთი პირები, რომელნიც ხალხის წარმომადგენელნი არ არიან.

# ახალი ამბები

— **წ. კ. გამ. საზოგად მთავარ გამგეობის** 12 ნოემბრის სხდომაზე დაადგინეს აღძრან შუამდგომლობა სახალხო სკოლების დირექტორის წინაშე ნავთლუღში სკოლის დაარსების შესახებ. გარდა ამისა, იშუამდგომლონ წიგნის მოვაჭრეთა და გამომცემლებისათვის კრების მოხთენის ნებართვისათვის, რომელზედაც წიგნებით მოვაჭრეთა კრების მომწვევი ინიციატორნი აირჩევენ სიეზდის საორგანიზაციო ბიუროს. სიეზდზე გამგეობა თავის წარმომადგენელს გაგზავნის. პ. სურგულაძის განცხადება, შესახებ წიგნების გამოცემის მომწყობი სექციის დაარსებისა, შემდეგისათვის გადიდვა. გადაწყდა მონაწილეობა მიიღონ ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეიში.

✦ **ახალი ორგანო.** ს. ფირცხალავას წინადადება, წ. კ. საზოგადოების ორგანოს გამოცემის შესახებ, გამგეობის მიერ მიღებულ იქნა. ორგანოს პასუხის მგებელ რედაქტორათ გამგეობის მდივანი აირჩიეს. ამ საქმეში დასახმარებლათ ქუთაისის და ბაქოს განყოფილებებს მიმართეს.

✦ **ქალაქის საბჭოს** მომავალ 16 ნოემბრის სხდომაზე, სხვათა შორის, შემდეგ წინადადებებს წარუდგენენ. 1) სამეურნეო-საფინანსო და სხვა კომისიების არჩევა და 2) ქალაქის მდივნის არჩევა, რადგან მდივანს, ა. ჯაბადარს, ვადა გაუდის.

✦ **ფუნიკულიორზე მოძრაობა** ხვალიდან შეჩერებული იქნება.

✦ **ქვემო-სურების მცხოვრებთ,** (გურია) თხოვნით მიუმართავს წ.კ. გამ. საზოგადოების მთავარ გამგეობისათვის, შუამდგომლობა აღძრან ამ სოფელში სამკითხველოს დაარსების ნებართვისათვის.

✦ **ლექცია.** „საზოგადო კლუბში“ დღეს, ნაფ. ვექილი ე. ი. ანტუშევიჩი წაიკითხავს ლექციას „ქალები-ვექილები“.

✦ **პოლიცმესტერმა** განკარგულება მოახდინა, რათა პოლიციელებმა ენერგიული ზომები მიიღონ თფილისის მე-2 გიმნაზიის მოწაფის ფ. მადერის მოსაძებნათ, რომელიც 11 ნოემბერს სახლიდან გამოვიდა და ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა. ბავშვი 12 წლისაა საგიმნაზიო ფორმის ტანისამოსი აცვია.

✦ **უბნის ზედამხედველის დატუსაღება.** გუბერნატორის დადგენილების ძალით პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, დაატუსაღონ 7 დღის ვადით მე-9 საპოლიციო უბნის ზედამხედველი უგულავა, რომელიც იქვე, კანცელიარიაში, მორიგ პოლიციელის თანამდებობას შეასრულებს. უგულავას პ. გელეიშვილის მიერ ლექციის კითხვის დროს უმოქმედობას აბრალებენ.

✦ **თფილისის წვრილ ვაჭართა მთავარ კომიტეტმა** დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეიში. ამ საქმისათვის აირჩიეს კომისია.

✦ **ხმოსანთა კრება.** დღეს მოხდება კრება რამდენიმე არჩეულ ხმოსნისა, რომელთაც მსჯელობა ექნებათ ქალაქის სამეურნეო საქმეების მოწესრიგების შესახებ.

✦ **ცეცხლის გაჩენა.** 13 ნოემბერს ქ. ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკის შენობას ცეცხლი გაუჩნდა. ზარალი 3000 მ. აღემატება.

✦ **სომხური დრამატიული საზოგადოება** იუბილეის გამართვას აპირებს არტისტ ქალის ვ. გ. მელიქიანის პატივსაცემლათ, რომელსაც იანვარში 25 წელიწადი უსრულდება, რაც ის სცენაზე გამოდის. ვ. მ. მელიქიანი 10 წელიწადს ქართულ სცენასაც ემსახურებოდა.

✦ **აბრეშუმის წარმოება მთელ მსოფლიოში.** საფრანგეთის ვაჭრებმა ცნობები შეკრიბეს აბრეშუმის მსოფლიო წარმოების შესახებ და გამოაქვეყნეს შემდეგი: 1908 წ. მთელ დედამიწაზე შეუკრებიათ სულ 24,080,000 კილოგრამი აბრეშუმი. ამათგან: საფრანგეთში, იტალიაში, ისპანიაში და ავსტრო-უნგრეთში შეუკრებიათ სულ 551,000 კილოგრამი. აზიაში—2,693,000 კილ., იაპონიაში—7,570,000 კილ. ჩინეთში—8,016,000 კილ., ინდოეთში—250,000 კილ. 1903—1907 წწ. აბრეშუმის მსოფლიო წარმოება საშუალოთ 20,088,000 კილოგრამითაა აღნიშნული.

✦ **სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომაზე** 11 ნოემბერს მოლაპარაკება ქონდათ სამეურნეო სიეზდის შესახებ და დაადგინეს: სიეზდს გახსნის და დახურავს საზოგადოების პრეზიდენტი პ. ა. გრუზინსკი. სიეზდის გახსნის დღეს სიტყვებს წარმოსთქვამენ ა. ა. კალანტარი, ს. სირენოვი და სხ. სიეზდი დაიწყება 15 ნოემბერს, გასტანს 10 დღეს. მოხდება 16 სხდომა, მათ შორის 3 საზოგადო; სიეზდი აირჩევს 4 სექციას, რომელთა სხდომები მოხდება დღით და საღამოთაც. სექციების თავმჯდომარეებს აირჩევს თვით სიეზდი. სიეზდს დაესწრება ტოტამიანცი.

✦ **წყლის გაყვანა ავლაბარში.** თავ. ა. ბებუთოვმა წინადადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რათა მან ზომები მიიღოს ავლაბარში წყლის გასაყვანათ იმ წყაროებიდან, რომელიც ბლომათ მოიპოვება ავლაბრის მახლობელ ადგილებში.

✦ **ქალების უმაღლეს კურსებზე,** ამ ჟამათ ირიცხება სულ 218 მსმენელი.

✦ **ეჩმიაძინის მონასტრის ბერები** ეტყობათ დიდი მაცადინი ხალხია. მათ ბევრი სამონასტრო ადგილები აქვთ; რადგან ამ ადგილების შემოსავალი ცოტა ყოფილა, ამიტომ ბერებს საგანგებო კომისია აურჩევიათ, რომელიც ხსენებულ ადგილების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე იზრუნებს. („კ.“)

✦ **სახალხო სახლი ერევანში.** სასარგებლო ცოდნათა გამავრცელებელ საზოგადოებამ აქ დაარსა სახალხო სახლი, სადაც შაბათობით და კვირაობით კითხულობენ ლექციებს. ლექციების შემოსავალი სახლის სასარგებლოთ ინახება. ლექციებს ხალხი ბლომათ ესწრება. ბილეთის ფასი 10 კ. („კავ.“)

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა** თხოვნით მიმართა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რათა მან გამოცდილი სპეციალისტი გაგზავნოს კავკასიის სამინისტრო სამეურნეო სკოლების დასათვალიერებლათ.

✦ **საქველმოქმედო წარმოდგენა.** გუბერნატორმა ნება დართო ვ. ვ. თამამშევას წარმოდგენა გამართოს სახაზინო თეატრში მე 3 სავაჟო გიმნაზიის ახლათ კურს-დამთავრებულ ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ.

✦ **კავკასიის ქალთა საზოგადოების სხდომა მოხდება** 18 ნოემბერს, სადაც წაკითხული იქნება 6 სხვადასხვა მოხსენებები.

✦ **ჭლექთან მებრძოლ კავკ. საზოგადოებას** თხოვნით მიუმართავს ქალაქ ბაქოს გამგეობისათვის, რათა მან ამ საზოგადოების ფილიალური განყოფილება დაარსოს ქ. ბაქოში.

✦ **სეზონის გახსნა.** ვერის აუდიტორიაში დღეს წარმოდგენილი იქნება „დამარცხებულნი“ ვერის ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ. დასაწყისი 8 საათზე. ადგილების ფასი შაურიდან—ხუთ შაურამდე.

✦ **შეპყრობა.** 12 ნოემბერს პოლიციამ დააპატიმრა ადმინისტრატიულ წესით გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნებულნი: ქ. კაზიშვილი, ი. კიტუაშვილი და ი. მაისურაძე, რომელთაც სამართალში აძლევენ.

✦ **მოსწავლე თ. დ. ჯანჯღავა** საზოგადოებას დახმარებას სთხოვს, რადგან სიღარიბის გამო მას სწავლის გაგრძობა არ შეუძლია. ბატარეინ ქუჩა, № 20.

# პროვინცია

**ჭიათურა.** სახალხო უნივერსიტეტის წევრთა მიერ მაისში არჩეული გამგეობა სხვადასხვა ფრიად მნიშვნელოვან და საყურადღებო მიზეზთა გამო სექტემბერში გადადგა და არჩეული იქნა ხელახალი გამგეობა. ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ ახალი გამგეობა ფხიანი იქნებოდა და ხალისით განაგრძობდა ენერგიულ მუშაობას. პირველ ხანებში ვითომ ამის საბუთიც კი მოგვცა, დაფაცურდა, ახმაურდა, მარა ეხლა კი ყურები ჩამოუგდო და თითქმის მისი სახსენებელიც კი ქრება. სახალხო კითხვებიც ვერ მოაწყვეს, ვერც სკოლა მიაგვარეს, ამდენი ხანია ბუნდოვანი სურათებისათვის ფარანია ნაყიდი და დღემდის ხელუხლებელი აქვთ. ან როგორ უნდა იმოქმედონ და გააკეთონ რამე, როცა ამ ბოლო ხანებში გამგეობის წევრთა კრებაც არ მოხდარა. ზოგს დანიშნულ კრებაზე მოსვლა ეზარება, ზოგი ორი დღით ადრე შეტყობინებას თხოულობს და ასე კრება ვერ დგება. უნდა მოვაგონოთ გამგეობის ზოგიერთ „ბელორუჩკა“ წევრს, რომ საქმისათვის მარტო ის კი არაა საჭირო, რომ სახ. უნივერ. გამგეობის სახელი ატარონ და მით დემოკრატიის წინ შესაფერის მანტიით იპრანჭონ, არამედ მოქმედებაც და მხოლოდ მოქმედება.

— სექტემბერში ადგილობრივ საავათმყოფოს დოსტაქარი დ. კარტაშევი არმავირში გადაიყვანეს. საავათმყოფო მას აქეთ უდოსტაქროთაა, მალე კი უნდა მოიწვიონ.

— ჩვენით სახალხო უნივ. გამ. უმოქმედობა აღვნიშნეთ. ესევე უნდა ვსთქვათ წერა-კითხვის ადგილობრივ განყოფილების შესახებაც. ეს განყოფილება ჯერჯერობით ქაღალდზე არსებობს, სრულიად ფეხ-აუდგმელია, შეიკრიბებიან გამგეობის წევრები, მედანხოლიურათ „ჩაუდაკლადებენ“ ერთმანეთს

---

...გრც უტოპიური, ცხოვრებაში არ გატარდა, მაგრამ მისი ერთი უმთავრესი ღვაწლთაგანი გამოიხატება იმაში, რომ მან დასტოვა შესანიშნავი კრიტიკა ბურჟუაზიული წესწყობილების და საზოგადოებრივი შრომის უპირატესობის აწერა-დამტკიცება. ეს კრიტიკა იმდენათ სრული და ბრწყინვალე იყო, რომ მას შემდეგ დიდი დამატება აღარც კი დაჭირვებია. ის იყო საუცხოვო მკვლევარი და მის მოძღვრებას დიდი გავლენა ქონდა მასაზე და, როგორც ზევითა ვსთქვით, დიდი როლიც ითამაშა „შრომაზე უფლების“ დაკანონებაში. 1848 წ., ფურიეს მოძღვრების შედეგი იყო აგრეთვე ის ენერგიული მოძრაობა, რომელიც გამოიხატა სხვადასხვა საწარმოვო ასოციაციების დაარსება-გავრცელებაში.

ფურიემ თავის სიკვდილის შემდეგ დასტოვა მცირე გუნდი მიმდევრების, რომლის სათავეში იდგა ცნობილი ვიქტორ კონსიდერანი. ფურიეს იდეები თანდათ ფეხს იკიდებდა და მის მიმდევართა რიცხვიც მრავლდებოდა, და მნიშვნელოვანი ხდებოდა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასე რომ მე-40 წლებში, ფურიერისტებს ქონდათ რამდენიმე ფრიად გავრცელებული პერიოდული ორგანოები. თებერვლის რევოლიუციის დროს კი ფურიერიზმი უმთავრესი გავლენიანი სოციალისტური მიმართულება იყო მთელ საფრანგეთში. მაგრამ ფურიეს მოძღვრება ყველაზე უფრო ფეხს იკიდებს ამერიკაში, რასაც ძალიან ხელი შეუწყო ამერიკის პირობებმა. აქ ამ დროს ახალ გამეფებული იყო ერთი იმ პერიოდულ კრიზისთაგანი, რომელიც ასე ხშირი სტუმარია ამერიკის. წარმოება თითქმის შეწყდა. მუშებმა დაკარგეს სამუშაო და ქუჩის მუდმივი მცხოვრები გახდენ. მცხოვრებთა სიღატაკე, განსაკუთრებით სამრეწველო ცენტრებში, უმაღლეს წერტილამდე ავიდა. ყაჩაღობა—მძარცველობა, საოცარი სისწრაფით ვრცელდებოდა. საქველ-მოქმედო და ოფიციალური დაწესებულებები ვერას ხდებოდენ და არ იცოდენ რა ექნათ. კრიზისის შედეგი ისეთი დამღუპველ-გამანადგურებელი იყო, რომ მისი გამკლავება შეუძლებელი გახდა. ამავე დროს მონობის წინააღმდეგ აგიტაცია სერიოზულ ხასიათს ღებულობდა და მისი მოსპობა საზოგადო დევიზათ გადაიქცა. მოძრაობამ ფართე, მასიური ხასიათი მიიღო. ყველა ესენი კი იწვევდა არსებულ წყობილება-დამოკიდებულების მწვავე კრიტიკას და უარისყოფას.

აი ასეთ პირობებში იჩინა თავი, ფურიეს მოძღვრებამ ამერიკაში. შრომის, კაპიტალის და ადამიანთა შორის ჰარმონიულ დამოკიდებულებაზე ქადაგებით, ფურიერიზმმა მალე ბევრი თაყვანისმცემლები გაიჩინა, ძლიერ მოძრაობათ გადაიქცა და მთელ ამერიკას მოედო. ყველა შტატებში იმართებოდა ფურიერისტების კონფერენციები. ხოლო 1844 წ. მოხდა შეერთებული ნაციონალური სიეზდი, რომელიც თავის აღფრთოვანებით ქვეყანას აკვირვებდა. ამ სიეზდმა აუარებელი მილოცვის და გამხნევების წერილები მიიღო ქვეყნის ყველა კუთხიდან. სიეზდმა ფურიეს ასოციაციები, ყველა ბოროტების წინააღმდეგ უნივერსალურ საშუალებათ აღიარა და გადასწყვიტა, კავშირი გაება ყველა ქვეყნის ფურიერისტებთან, საერთაშორისო მოქმედებისათვის. გაჩნდენ აუარებელი გაზეთები, წიგნები, ლექციები და რეფერატები, რომელსაც ხალხი ბლომათ ესწრებოდა. ამ ნიჭიერმა და ენერგიულმა პროპაგანდამ დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია ხალხში. მოძღვრებამ ღრმა ფესვები გაიდგა ფართე მასაში და ეს მასსა კი მოთმინებას კარგავდა, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით ეგემებია და დამტკბარიყო ამ „ახალი აღთქმის“ ნეტარება სიმშვენიერით. მოძრაობამ გადალახა ხელმძღვანელების კონტროლი. გაჩნდენ დიდი და პატარა ჯგუფები და შეუდგენ ფალანგების დაარსებას. ასე რომ სულ მოკლე ხანში თითქმის ყველა შტატები მოიფინა ფურიერისტების ასოციაციებით.

სამწუხაროთ ბევრი ამ ფალანგებთაგანი ცოტა ხნის აყვავების შემდეგ, სრულიად დაირღვა, გაქრა. ზოგმა თითონ წინდაწინ გადაწყვიტა დაშლილიყვნენ და ქონება საჯარო ვაჭრობით დაყიდეს. ზოგი კი დიდ ხანს რჩება, მარა კარგავს თავის წმინდა ხასიათს. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ასეთ ასოციაციებს მუდამ და ყოველგან ორში ერთი ბედი მოელის: ან უნდა გაკოტრდეს და მაშასადამე მოისპოს, ან და გადაიქცეს „პაიშჩიკ-ხაზეინების“ კარჩაკეტილ წარმოებათ, სადაც ბატონდება დაქირავებული შრომა და მით კარგავს თავის დანიშნულება-ხასიათს. ფურიერიზმის ასეთმა შედეგმა ამერიკაში, დიდი გულგრილობა გამოიწვია მის წინააღმდეგ. უწინდელი ენტუზიაზმი და გატაცება მინელდა და ფურიერიზმი თან და თან გაშორდა საზოგადო აზროვნების ასპარეზს.

ასეთი იყო ფურიერიზმი და მისი შედეგი.

ოფიშტიელი.

(შემდეგი იქნება)

და მთქნარებით გამობრუნდებიან სახლებისკენ. ჩვენს შავბნელ დროში სხვა ბედნიერებასთან ერთად ერთმა სენმაც მოიდგა ფეხი. ყველაფერ სიცლახეს რეაქციას აბრალებენ. არ მოქმედობს უნივ. გამგეობა? სძინავს წ.-კ. გ. განყოფილებას? ვერე ეს რეაქციის ბრალია?!

ი. ბოლოქანქალა.

—

**ს. ხიდისთავი** (გურია). ხიდისთავში რამოდენიმე წელია არსებობს კარგათ მოწყობილი აფთიაქი, სადაც ყოველნაირ წამლებს იშოვნით პირველ საჭიროებისთანავე, რაც ასე ადვილია პროვინციის აფთიაქებში. უკანასკნელ ხანებში ხსენებულ აფთიაქში ყოველ კვირაობით ფერშლები, რამიშვილი და ბერეჟიანი დებულობენ ავათმყოფებს, რაც რა თქმა უნდა, საგრძნობელი საშუალებაა მათთვის, ვისაც სახლში ფერშლის მიყვანა არ ეხერხებათ და აქ შეუძლია ისარგებლოს მათი დახმარებით, ხშირათ უფასოთაც. 3—4 წლის წინათ ჩოხატაურიდან აქ დადიოდა კვირაში თითო დღეს ქსენონის ექიმი ბ. ნადირაძე. მისი გადაყვანის შემდეგ კი არც ერთს ექიმს არ მოუსურვებია განეგრძო ეს მეტის მეტათ სიმპატიური და სასარგებლო საქმე. თქმა არ უნდა, რომ აქ მოთხოვნილება ექიმის ძლიერ დიდია. ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება. გასულ წელს რამოდენიმე თვის განმავლობაში აქ დადიოდა ბახვიდან ექიმი ვ. ბერეჟიანი· ამ დღეს აფთიაქში თავს იყრიდა 70—80 ავათმყოფი.

სასურველია ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ჩოხატაურში ახლათ დანიშნულმა ექიმმა ბ-ნმა აროშიძემ. ჩვენის აზრით შესაძლებელია, რომ მან კვირაში ერთი დღე გადასდოს ხიდისთავისათვის და მის ახლომახლო მდებარე სოფლების ავათმყოფებისათვის, რითაც დიდ სამსახურს გაუწევს ავათმყოფებს, რომლების ჩოხატაურში გაყვანა შეუძლებელია და ექიმის მიპატიჟებაც მათთვის მეტის-მეტათ გასაჭირალია, რომც შესაძლებელი იყოს უყველთვის მისი შოვნა.

იბრაგიმ.

—

**დ. ჩოხატაური** (გურია). სამკითხველოს ნებართვა უკვე მივიღეთ ათ ნოემბერს საზოგადო კრებაც მოხდა, რომელმაც განიხილა სამი უმთავრესი კითხვები. კრებაზე გამოირკვა, რომ ას მანეთამდე შიბარებული ყოფილა ილ. ივანოვთან რომელმაც სამი პროცენტის სარგებლით უნდა დაუბრუნოს გამგეობას ეს ფული. დარჩენილა აგრეთვე შკაფი, სკამი და მაგიდა. კრებამ მიიღო და დაამტკიცა სამკითხველოს წესდება, რომ გადასახადი დაწესდა თვიურათ 25 კ.-დან 1 მანეთამდე, ერთდროული გადასახადი კი ათი მ. დასასრულ აირჩიეს გამგეობის წევრებათ: მღ. ბეს. დოლიძე, ადგილობრივი ექიმი მედ. აროშიძე, გრ. თავდგირიძე, დიმ. კოტრიკაძე და ს. თავართქილაძე. სარევიზიო კომისიის წევრებათ: მღ. თომა მეგრელიშვილი, გიორგი კეკელიძე და სამ. პაიჭაძე.

ბიბლიოთეკის გამგეობას და სარევიზიო კომისიას დაევალა აგრეთვე იზრუნოს დ. ჩოხატაურში სამოქალაქო სასწავლებლის გახსნის შესახებ, რომლის თხოვნა შარშან გაუგზავნიათ და ეხლა საჭიროებს დამატებითი ცნობების მიწოდებას.

— გამოითქვა აზრი, ახლო მომავალში აქ გაიხსნას საკვირაო სკოლა. ნებართვის აღება მიენდო მღ. ბეს. დოლიძეს.

— ორ კვირაზე მეტია, რაც ტელეგრაფის განყოფილება გაიხსნა.

— დღემდე აქ ფოსტა ორჯელ მიდიმოდიოდა კვირაში. ეხლა კი კვირაში სამჯერ მიდის და მოდის. სასურველია მოდიოდეს ყოველ დღე. ეს არც ისე ძნელია. რომ ფოსტის განყოფილების უფროსი ითავებდეს, ადვილათ განხორციელდება, რითაც საზოგადოებას დიდ სამსახურს გაუწევს.

— სახალხო სკოლების ინსპექტორმა ბ-ნმა მაჭავარიანმა ამ დღეებში გურიის მასწავლებლებს დაბეჭდილი უწყებები დაუგზავნა, რომლითაც მასწავლებლებს სთხოვს აცნობონ: რამდენი მოწაფე სწავლობს სკოლაში, რამდენია სკოლას გარეთ დარჩენილი, როგორია მდგომარეობა მატერიალურათ ბავშვების და სხ.

— როგორც ადგილობრივმა, ისე ზოგიერთ მახლობელ სკოლების მასწავლებლებმა გადასწყვიტეს გამართონ დილა ბავშვებისათვის საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ არსებობიდან ოცი წლის შესრულების გამო და გამოიწერონ „ჯეჯილი“. ბავშვები შეუდგენ წვლილის კრებას, მასწავლებლების მეთაურობით.

— ზოგიერთ სოფლებიდან წ.-კ. საზოგადოებას მღვდლების და მასწავლებლების მეთაურობით, გაეგზავნა თხოვნა, აძლიოს შუამდგომლობა სამკითხველოს გახსნის ნებართვისათვის.

— ათ ამ თვეს გუბერნატორის განკარგულებით სამსახურიდან დაითხოვეს (ერთი თვის ვადა მიეცა მხოლოდ ძველ ადგილზე დარჩენის) ადგილობრივი ბოქაულის თანაშემწე გიორგი ასათიანი. როგორც ამბობენ დათხოვნის მიზეზი ყოფილა ამას წინათ ტ. მეგრელიშვილის გადახვა, რომელმაც გუბერნატორთან უჩივლა ასათიანს.

— ამ უკანასკნელ ხანებში აქ ტიფით ავათმყოფობამ იჩინა თავი. ორი-სამი დღის განმავლობაში ორი უკვე გარდაიცვალა ამ სენით.

ლია

—

**ოზურგეთი.** კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის რუდოლფის თფილისიდან ჩამოსვლამ ცოტა არ იყოს „ჩვენი პედაგოგებიც“ დააფეტურა, რადგან იცოდენ, რომ უნახავათ არც მათ დასტოვებდა. ბევრი მათგანი შიშმა მოიცვა. ერთი „პედაგოგთაგანი“ ხმა მაღლა ლაპარაკობდა: „მე წუხელის შიშის გამო არ მიძინია, თუმცა საშიში არაფერი მაქვს, მარა მაინც „რადაცა მეშინიან“. დიდინი დიდხანს არ დასჭირდათ ბ. მზრუნველი 5 ამა ნოემბერს სახალხო სკოლების დირექტორის ბ. სემენოვის და ინსპექტორ მაჭავარიანის თანხლებით უკვე მოვიდა ოზურგეთში და იმ ღამეს დაბინავდა ადგილობრივ აგრონომიულ სასწავლებელში. სად. ნატანებში მას მიეგება მაზრის უფროსი პოლკ. ზაკუსოვი და ქალაქის თავი ბებურიშვილი.

მეორე დღეს მზრუნველმა ინახულა სამოქალაქო სასწავლებელი და რამოდენიმე განყოფილებაში მოსწავლენიც გამოცადა. —ბ. მზრუნველს დიდათ გაუკვირდა როცა მე-5 და მე-6 განყოფილებებში სულ 9 შეგირდი ნახა, იმ დროს, როცა სხვაგან ამგვარ განყოფილებებში არა ნაკლებ 40-საა. ამის შესახებ მიზეზის ახსნამ, როგორც გადმოგვცეს, ბ. მზრუნველი თურმე ვერ დააკმაყოფილა. —შემდეგ ინახულა სასულიერო და საქალებო ორ კლასიანი სასწავლებლები. იმავე დღეს, ნაშუადღევის 5 საათზე მას წარუდგენ ქალაქის წარმომადგენლები. ქალაქის თავმა ბებურიშვილმა ელაპარაკა რეალურ გიმნაზიის გახსნის საჭიროებაზე და სთხოვა მას დახმარება, რაზედაც მზრუნველმა მიუგო: ხსენებულ სასწავლებლის გახსნის შესახებ მიუცილებელ აჭიროებას შეადგენს თანხა, ურომლისოთ არავითარი საქმე არ კეთდება, ოზურგეთი კი როგორც ვიცი ძლიერ დარიბი ქალაქია და ვეჭვობ რომ რეალურ სასწავლებლისთვის საჭირო თანხა მოიკრიბოსო, ისე კი მე „რამდენათაც შემეძლება“ დაგეხმარებითო“. ამის შემდეგ მზრუნველს წარუდგენ მომჩივნები ბ. გორგასლიძეზე: ივ. ჯაველი, დ. ცეცხლაძე, დ. აბაშიძე, წულაძე, ს. მახარაძე და სხ. ამათ მოახსენეს რომ ბ. გორგასლიძე ძლიერ უდიერათ ექცევა შეგირდებს, ხსენებულ სასწავლებელში გამეფებულია ეგრეთ წოდებული სხეულით დასჯა, რაც ვგონებთ კარგი ხანია მოისპო. ჩემს შვილსო, სთქვა ქ-ნმა წულაძისამ, ხშირი გალახვის გამო ავათმყოფ ბა დასჩემდა, რაიც ექიმებმაც დაამტკიცეს და ამ ჟამათ ის თფილისში მყავს ექ. გედევანოვთან საექიმოთო და სხ.—ამათ მზრუნველი დაჰპირდა გამოძიებას.

მეორე დღეს ბ რუდოლფი გაემგზავრა შემოქმედში და იქიდან კი დვაბზუში იქაურ სკოლების დასათვალიერებლათ.

8 ნოემბერს კი დილით ის დირექტორის თანხლებით გაემგზავრა დ. ლანჩხუთში.

კაფე.

—

**ფოთი.** კვირას. 8 ნოემბერს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, ბ. კოწია გამყრელიძის თაოსნობით მოწვეული იყო ადგილობრივი ინტელიგენცია, გაბუნია-ცაგარლის 30 წლის მოღვაწეობის დღესასწაულის გამართვის შესახებ მოსალაპარაკებლათ. კითხვა დაისვა ასე: „როგორი მონაწილეობა უნდა მივიღოთ ჩვენ ამ დღესასწაულში და რაში უნდა გამოიხატებოდეს ჩვენი მონაწილეობა?“ კრებამ დაადგინა მოწვეულ იქნას „იუბილიარი“ თავის ამხანაგებით, რომ აქ გამართონ წარმოდგენა „ხანუმა“. —დღესასწაულის დღეს, 29 ნოემბერს კი, მიერთვას ადრესი და საჩუქარი.

ჩემის შეხედულებით ასეთი დღესასწაული უფერულია. აი რატომ?! —იუბილიარი თავის ამხანაგებით უნდა მოვიწვიოთ ფოთში, იმისთვის, რომ დაგვიდგას „ხანუმა“ და თავისი მოხდენილი თამაშით გაგვაცინოს და დაგვატკბოს. კეთილი და პატიოსანი; ვის ეზარება სიცილ მხიარულება, მაგრამ ეს ხომ ჩვენი სიამოვნება დარჩა, ჩვენ სამაგიეროდ რას ვაძლევთ? —ჩვენი სასცენო დარბაზი მხ-ოლოდ 400 მანეთს იძლევა, როდესაც ბილეთების ფასი აწეულია, მაშასადამე მუშები მოკლებულნი იქნებიან ამ სიამოვნებას და დღესასწაულში მონაწილეობის მიღებას. 10 მსახიობს (მათ რიცხვში იუბილიარიცაა). გზის ფულიანათ თითოეულს 30 მანეთი ხომ უნდა მივსცეთ, დარბაზის ქირა 30 მან. საზანდარი 20 მ. და წვრიმალი ხარჯები ათ მანეთამდე; სულ 360 მან. მაშასადამე ჩვენი დღესასწაულში მონაწილეობის მიღება გამოიხატება 40 მანეთში, რომელიც როგორც ზნეობრივათ, ისე იურიდიულათ ჩვენათ არ ითვლება, ეს ხომ დაქირავებული დაგვირჩა ჩვენდა გასართობათ მე მგონია კიდევ დრო გვაქვს ვიფიქროთ ამაზე და უფრო მეტს მივაქცევინოთ მონაწილეობა ამ დღესასწაულში.

ან. ელენტი.

## ღია წერილი ბ. სვირელს.

—

**მ. ხ.** ახალი წრის გარეშეთ ატეხილ დავაში ჩვენ წამოვაყენეთ თქვენს წინააღმდეგ სხვათა შორის შემდეგი ბრალდებები: რეორგანიზაციის ერთ უპირველესი ავტორთაგანი ხართ თქვენ. რეორგანიზაცია განიძრახეთ იმ მიზნით, რომ სხვათა შორის, მისი საშუალებით, გაგეძევებიათ სექციიდან მუშები. როცა რეორგანიზაცია თქვენი სურვილის თანახმათ არ ჩატარდა, თქვენ ენერგიულათ შეუდეგით დამოუკიდებელ წრის დაარსებას, ხოლო როცა სარეორგანიზაციო კომისიამ თქვენ სექციის გარეშე დაგტოვა, მაშინ თქვენ შეეცადეთ ახალი წესდების დამტკიცების დაჩქარებას. ეს წესდება კი შეადგინეთ სექციის კოლეგიალურ ნების გარეშე და არც დამტკიცებამდე, და არც დამტკიცების შემდეგ არ წარუდგინეთ თავის ამხანაგებს სექციაში განსახილველათ. მოქმედებდით კი სექციის სახელით. თქვენ შეცდომაში შეიყვანეთ წესდებაზე ზოგიერთი ხელის მომწერი, მით რომ ცალმხრივათ აცნობდით წრის დაარსების მოტივებს. თქვენ ამბობდით, რომ სექციაში მუშები ზედ-მეტი ბარგია, რადგან მათ არ შეწევთ გონებრივი განვითარება აქ სამუშაოთ. თქვენ განზრახ დატოვეთ წესდებაში სამი მანეთი საწევრო ფული, რის საფუძვლიანობას იმით უსაბუთებდით ერთ-ერთ წესდებაზე ხელის მომწერს, რომ „შეუძლებელია ყველას, ქუჩიდან, საშუალება მიეცეს ჩვენს წრეში ჩაეწეროს“. და სხვა.

ჩვენ მოველოდით, რომ თქვენ სამართალში გამოგვიწვევდით და ამ ბრალდებების დამტკიცებას მოითხოვდით ჩვენგან. მაგრამ თქვენს უკანასკნელ წერილში ამის შესახებ არას ამბობთ. ამიტომ ამ უკანასკნელი შეკითხვით გვინდა საბოლოოთ გავიგოთ თქვენგან —გვიწვევთ თუ არა სამართალში ამ ბრალდებების დასამტკიცებლათ. თუ რომ სამი დღის განმავლობაში თქვენ არ მოითხოვთ ჩვენგან ყველა ამების დამტკიცებას სასამართლოს საშუალებით, იმ შემთხვევაში მკითხველისათვის აშკარა იქნება, რომ თქვენ თვითონ ადასტურებთ უოველივე ამ ბრალდებებს. სამ დღეს იმიტომ ვაცხადებთ, რომ ჩვენ გასასამართლებლათ გავდივართ ბ. ტოროშელიძესთან. მან უკვე დაასახელა თავისი მედიატორე, ჩვენც მზათა გვყავს ჩვენი მედიატორი, ხოლო თუ თქვენც გსურთ ჩვენი სამართალში გაწვევა, უმჯობესია ერთმა და იმავე სასამართლომ გაარჩიოს ორთავეს საქმე. თუ თქვენ უარს იტყვით სასამართლოზე, ყველა ბრალდებები თქვენს წინააღმდეგ წამოყენებული დამტკიცებულათ ჩაითვლება და მაშინ სასამართლო შესდგება მარტო ბ. ტოროშელიძესთან. ველით თქვენს პასუხს.

იკა და მეგობარი.

# თეატრი და ხელოვნება

—

**ქართული თეატრი.** ქართული თეატრის დასმა ხუთშაბათს წარმოადგინა ბარეტის დრამა „ახალი მოძღვრება.“

პიესის შინაარსი აღებული ძველი რომის ცხოვრებიდან. ქრისტიანებს საშინლათ სდევნიან, აწამებენ, ათობით და ასობით გლადიატორებს ახოცვინებენ და მხეცებს აგლეჯინებენ ცირკებში და მით ბრბოს გასართობს უმზადებენ.

ამ საშინელი სიმხეცის უმთავრესი ხელმძღვანელი არის ცნობილი მტარვალი ნერონი. ნერონი მუდამ იმის ფიქრშია, როგორმე წამების ახალი ფორმა გამოიგონოს და როცა ის ერთხელ მოიგონებს წამების ერთ ასეთ ფორმას, სახელდ. ქრისტიანების თითო საჯინის მანძილზე ჩამწკრივებას და ცეცხლის წაკიდებას, რომ ცოცხალი ადამიანებისაგან ანთებული ჩირაღდნებით ქუჩები გაანათოს, ის ნეტარებით დამთვრალი წამოიძახებს: ასეთი სანახაობა ჯერ არავის უნახავსო.

ახალ მოძღვრების (ქრისტიანობის) ფანატიკურ მიმდევრებს არავითარი წვალება არ აშინებს და ისინი მხნეთ განაგრძობენ თავიანთ მოძღვრების ქადაგებას. უშიშრათ ხვდებიან სიკვდილს და ამით განცვიფრებაში მოყავთ მტარვალნი. წარმოდგენამ საერთოთ რიგიანათ ჩაიარა.

ეტყობა არტისტები ცდილიყვენ პიესის შესწავლა შეთვისებას. მარა არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ის კილო, რომელიც ასე შესისხლხორცებული აქვთ ჩვენს არტისტებს, არამც თუ შეესაბამება პიესას, პირიქით საკსებით შეუწყნარებელია და მთელ შთაბეჭდილებას აწიავებს. გრიმიც ისეთი ქონდათ ზოგიერთებს, რომ სვანებს უფრო გავდენ, ვინემ რომაელს. საზოგადოებას მოეწონა კარგარეთელი (ვერნაკა) მდივანი (მერცია) ტასო აბაშიძე (ლიციოსი) მესხი (ნერონი), ზარდალიშვილი (მარკი, რომის პრეფექტი).

—

**სახალხო თეატრი.** ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში, ხუთშაბათს სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა სანტიმენტალური მელოდრამა „ორი ობოლი“ ქ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით. ქ. გაბუნია-ცაგარლისა, როგორც ყოველთვის, ამ დღესაც, შეუდარებელი იყო „მადამ“ ფროშარის როლში. „ხანუმა“ და „ფროშარი“ მისი როლებია და აქ მას ვერავინ შეეცილება. საუცხოვო იყო მეტადრე, როდესაც არაყს გადაკრავს და განსვენებულ ქმარს მოიხსენიებს. როცა ბრმა ლუიზას დაატარებს მოწყალების სათხოვნელათ, იმის თვალებში და სიარულშიაც კი ბოროტება და სასტიკი შეუბრალებლობა გამოიხატება. კარგები იყვენ ქ. გოგოლაშვილი, ა. ქიქოძე, გოცირიძე და ბ. ზურაბიშვილი.

გოცირიძეს გრიმი ისეთი გაეკეთებია, რომ იმისი სახე სიტყვებზე უფრო მეტს ამბობდა. ცოტათი შევჩერდებით. ქ. ა. ქიქოძეზე. მეექვსე სურათში, მან დაგვანახვა რომ მას ბევრი გრძნობა აქვს. გრძნობები კი—დიდი ღირსებაა სცენაზე მოთამაშისთვის. ქ. ქიქოძე დიდრონი ცრემლებით სტიროდა სცენაზე, ფარდის ჩამოშვების შემდეგაც კი ვერ იკავებდა ცრემლებს. ასეთ ადგილებში, როცა ის როლში შედის, ძალიან ბუნებრივიც არის, რის გამო საკმაო შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე. რაც უფრო ბუნებრივია თამაში: მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკი, კილო, —მით უფრო მიმზიდველია იგი და მომავალიც ასეთებს აქვს ხოლმე. ქ. ქიქოძეს ერთ დიდ ნაკლათ ჩაეთვლება ის „გაკეთებული“ კილო, რომელსაც ის ხმარობს ხშირათ. გრაფინიასთან ლაპარაკის დროს, მაგ., როცა გენრიეტა ლუიზას ამბავს მოუყვება, ქ. ქიქოძე თითქოს ძალას ატანს თავს, რომ უფრო ეფექტიურათ გამოთქვა სიტყვები, რის გამო კილო ძალდატანებული გამოდის, სრულიათ არა ბუნებრივი და სიტყვებსაც სწყვეტს შუაზე, რაც არა სასიამოვნოთ ხვდება მაყურებელის ყურს. როცა სცენაზე ასეთი კილო გესმის, ერთი წამითაც ვერ შეგიძლია დაივიწყო, რომ თეატრში ხარ, და რაც უნდა კარგათ ითამაშოს არტისტმა, მაინც ნელდება შთაბეჭდილება. მაგრამ ეს ძალდატანება, ეს „გაკეთებული“ კილო, სრულებით არ ეტყობა ქიქოძეს ძლიერ სცენებში. ის იქ ბუნებრივია და მიზანსაც აღწევს. სასურველია ეს ნაკლი ეხლავე მოიცილოს ქ. ქიქოძემ, თორემ თუ შეეჩვია მას, მერე გაუჭირდება და ეს კი ძალიან დასწევს უკან მის თამაშს. მეტი ბუნებრივობა, მეტი თავისუფლება ლაპარაკში და ხმაში. კარგი იყო ქ. ლეჟავა ბრმა ლუიზას როლში, თუმცა ძალიან კი გავდა თვალ ხილულს. სუსტი იყო ბ. მეტრეველი. იმის თვალებში ეშმაკობა უფრო გამოიხატებოდა, ვინემ ლმობიერება და სიბრალული. დანარჩენები, როგორც იტყვიან, ანსამბლს ხელს უწყობდენ. ხალხი ძალიან ბევრი დაესწრო.

?

—

**ჭიათურა.** გაზაფხულს აქეთ აქ წარმოდგენები არ ყოფილა, ვინაიდან თეატრის შენობა მზათ არ იყო. 25 ოქ[...] ახალ თეატრის შენობაში გაიხსნა სეზ[ონი]. ითამაშეს ქართულათ ფოსეს სამ-მ[ოქ]მედებიანი პიესა „დამნაშავე“ და რ[უ]სულათ [...] პირ[...] პირ ვთქვათ, რომ ქართული წარმოდგე[...]ნა უფერული იყო, რომ მესამე მოქ[მე]დებაში ქ. იურკევიჩი არ ყოფილიყ[ო] თქვენი მტერია საქმე ცუდათ იქნებო[და]. დრამის უმთავრეს გმირის როლს (ტ[...] მასლეერი) ს. ტარუაშვილი ასრულებ[და]. პირველი მოქმედება გვარიანათ ჩაატა[რა], ხოლო მესამეში, როცა 20 წლის შემდ[ეგ] ცოლს შეხვდება, ერთობ აუჩქარებლ[ათ] და ზანტათ უპასუხებდა გახარებუ[ლ] ცოლს, რაიც როლის უცოდინარობ[ას] უნდა მიეწეროს. ეს ადგილი ჩვენ პიეს[ა]ში ყალბათ გვეჩვენება. ჯერ კიდევ [...] ჰავჰავაძემ სთქვა: ჭეშმარიტი გრძნო[ბა] მუნჯიაო. ქალი 20 წლის შემდეგ თით[ქმის] თქმის მკვდრეთით ამდგარ ქმარს შეხვდე[ბა] და იქ პატეტიურ „რეჩებს“ უწყებს. ჩვ[ენ] გვგონია ეს ვერაა ფსიხოლოგიური სინ[ამ]დვილე. აქ სიჩუმე მეტს იტყოდა, ვინ[ემ] „რეჩმა“ სთქვა. ამასთანავე უნდა შევნ[იშ]ნოთ ტარუაშვილს, რომ მომაბეზრებელ[ი] მაყურებელთათვის, როცა სცენაზე [...] ტისტი მთელი პიესის თამაშის დროს ე[რ]თ იმავე ჟესტიკულაციას მიმიას ხმარობ[ს]. ტარუაშვილის უმთავრესი ნაკლიც სწორ[ედ] ეს იყო. კარგი იყო ხიდისთაველი ვ[...] ჰელმის როლში, მარა ერთობ ახალ-გაზ[რ]დათ ჩანდა. ვერ იყო თავის ადგილს [...] წყაროსთაველი, თუმც როლი არ გაუფუ[...]ჭებია. არა უშავდა ხანდიხან მწარიშვილ[...]საც, მარა უნდა იცოდეს ამ დალოცვილმა, რომ გადაჭარბებული ტრაგიზმიდა იმერუ[...]ლი ხელის კეთება ძალიან უახლოვდებ[ა] კომიზმს. თითქმის ყველანი უგრიმოთ თამაშობდენ (გარდა გომელაურისა, რომელმაც ერთობ გულგრილათ ჩაატარა ტრაგიზმით აღსავსე როლი); მართალია თავზე კი ჩამოეფხატათ რაღაც ნაბდის ძველების მაგვარი, მარა წვერ-ულვაში ყვე[...]ლას ჩვეულებრივი ქონდა. მაგ. მწარიშვილი, ხიდისთაველი, ავტალიდი და სხ. ა. მითაიშვილს კი წვერებზე ადრე თმ[...] გაჭაღარავებოდა, რაც მის ამპლუას არ შეეფერება.

წარმოდგენას აკლდა რეჟისორის ხე[...]ლი. მეორე და მესამე მოქმედებაში ტრაქტირი უფრო ციხეს ან კოშკს გავ[ავ]და, ერთი სტოლი მომქმედი პირებით ის[ე] იდგა სცენაზე, რომ ბევრი მსმენელი მათ ვერ ხედავდა.

რუსული წარმოდგენა გაცილებით ბუ[...]ნებრივი იყო, ქ. იურკევიჩი იმდენათ სუ[ს]ტი იყო რუსულ წარმოდგენაში, რამდე[...]ნათ ქართულში გვარიანი. მის მიერ რუ[...]სულათ ნათქვამი სიტყვები, მე ერთი[...] ვერ გავიგე.

წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრ[ო] ჩვენ არ გვეგონა თუ ასეთი პიესით გა[...]სნიდენ სეზონს. საჭირო იყო მეტი მო[მ]ზადება, უკეთესი პიესის არჩევა და სხვ[...]

დარბაზი ერთობ ლამაზია, შიგ სა[...] სამდე ადგილია, საპირფარეშო ოთახები და სხვ. თანაც ახლოა სადგურთან. ას[...] როს უწინდელ შენობას გაცილებით სჯობია. თეატრმა თან ახალი დეკორაციებიც შეიძინა.

ვ. მაი—ლი.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

ჩემს წინა წერილში დაბეჭდილი იყო[...] „სარეორგანიზაციო კომისიამ პირადი ინტე[...]რესების მიხედვით“ და სხვ. ეს სიტყვები [...] დ. დუმბაძეს არ შეეხება. მე მასთან პირადი ინტერესები არ მქონია.

სვ. სვირელი.

რედაქტორ გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

**გავათავე** გიმნაზია და საბუ[...] ჰგალტერო კურ[...]სები, მაქვს 5 წლის საკანტორო პრაქ[...]ტიკა და ვეძებ შესაფერ სამუშაოს. შე[...] მიძლია დამწერ მაშინაზე მუშაობა. ოსიპოვის ტუპიკი, სახ. № 16, ბინა მე-9 ნაწილში. 0—10

კანტორა და სკლადი
**ი. ახოზბაძისა**
გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

სკლადში იშოვება შემდეგი წამლები:
„**სპერმატინი**“
ავათმყოფებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.
„**ალმეზა**“
რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ, სტცოელი 40 კ.

„**კლაპოვნი**“ სპობს ბაღლინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. სადეუბლიკ[...] პროფესორ გიუმონდისა სუსუნატისა არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.
„**პრიმა**“ სპობს თმის ქერწლსა და აჩერებს თმის ჩამოცვენასა. აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.
მსურველთ ვუგზავნით ფას დადებითი. ბროშიურება უფასოთ. 30—16